პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 106 (9882) | ხუთშაბათი, 6 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირი (1-ლი გვერდი).

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური (1-ლი გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან. — ი. რთველიაშვილი. — ახლებურად მუშაობის პირველი ნაბიჯები (მე-2 გვერდი).

საგაზეთო თემაზე. — ა. ბაღათურია. — პასუხსაგები და კეთილშობილური ამოცანა (მე-2 გვერდი).

წერილები ტყიბულიდან. — დ. ლომთათაძე, ვ. ცირეკიძე. — II. ფართო გზა — ახალს, პროგრესულს (მე-2 გვერდი).

ვ. კახეთელიძე. — საბჭოთა ვაჭრობა სოციალისტური საზოგადოების წევრებს შორის მოხმარების საგნების განაწილების ძირითადი ფორმაა (მე-3 გვერდი).

სერიოზული ნაკლოვანებანი ჩაის ფოთლის [illegible] მზადებაში (მე-3 გვერდი).

ბიბლიოგრაფია. — ი. ფეიქრიშვილი. — [illegible] უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი [illegible] (მე-4 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი. ჯოენ-ლაის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე 1954 წლის 3 მაისს (მე-4 გვერდი).

საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია

საბჭოთა სახელმწიფო აპარატს უმნიშვნელოვანესი მოვალეობა აკისრია. იგი მოწოდებულია დაეხმაროს პარტიასა და მთავრობას სამეურნეო და კულტურული ამოცანების განხორციელებაში.

როგორც გამოცდილებით არის დადასტურებული, საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ბრძოლისუნარიანია და წარმატებით ასრულებს თავის ამოცანებს, თუ ყველა მისი რგოლი ზუსტად და მაღალხაყოფიერად მუშაობს, თუ მისი თვითეული მუშაკი კეთილსინდისიერად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, მუდამ გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებისადმი.

ჩვენი სახელმწიფოს ფუძემდებელი დიდი ლენინი ჯერ კიდევ 1921 წელს ცენტრალური საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელებს სწერდა: „საბჭოთა ადმინისტრაციის მანქანა უნდა მუშაობდეს აკურატულად, პატიოსნად, სწრაფად. მისი მოშლილობით არა მარტო კერძო პირების ინტერესები ზიანდება, არამედ მმართველობის მთელ საქმესაც ყალბი, მოჩვენებითი ხასიათი ეძლევა... ამიერიდან მოვითხოვ უსწრაფეს და ამომწურავ პასუხს თქვენთვის გამოგზავნილ საქმეებსა და შეკითხვებზე. დასჯერდე უშინაარსო მიმოწერას და სხვა დაწესებულებებში გადაგზავნას — ეს ნიშნავს აგრეთვე საქმის გაჭიანურების გახშირებას და ქაღალდის ფლანგვას“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელიც ახლახან ჩატარდა, აღინიშნა, რომ, მართალია, ამ უკანასკნელად ერთგვარად გაუმჯობესდა საბჭოთა აპარატის მუშაობა, მაგრამ ცალკეული სამინისტროებისა და დაწესებულებების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის საქმისადმი ფორმალური, ბიუროკრატიული დამოკიდებულების შემთხვევები. დასახელებულ იქნა ფაქტები, როცა სამინისტროებისა და დაწესებულებების შტატები გაბერილია, როცა აპარატის ცალკეული ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან აპარატის ოპერატიულად, უნაკლოდ მუშაობისათვის. სესიაზე დეპუტატებმა მოითხოვეს, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას.

ახალი ამოცანები, რომლებსაც პარტია და მთავრობა სახელმწიფო აპარატის წინაშე აყენებენ, შეუძლებელია წარმატებით გადაჭრას, თუ შემდგომ არ ამაღლდა დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი, მათი ბრძოლისუნარიანობა.

ცოტა როდია დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სწორად ახორციელებენ თავიანთ საწესდებო მოვალეობას, სათავეში უდგანან აპარატის, საბჭოთა დაწესებულებების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

მაგრამ არის დაწესებულებათა ისეთი პარტიული ორგანიზაციებიც, რომელთა მუშაობის დონე ვერ უპასუხებს პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს, ისინი ჯერ კიდევ მთლიანად არ იყენებენ იმ დიდ შესაძლებლობას, რაც სამუშაო დღის ახალი რეჟიმის დაწესებით პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის არის შექმნილი. ბევრგან პარტიული ორგანიზაციები კომუნისტების მსჯელობის საგნად არ ხდიან შრომის დისციპლინის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს, არ განიხილავენ საგეტაციო-პროპაგანდისტული მუშაობისა და აპარატის მუშაკთა საარსებო საკითხებს, არ ეხმარებიან დაწესებულებათა კოლექტივებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აპარატის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებანია. აქ ხშირად ირღვევა სამუშაო დღის რეჟიმი. ხშირია მშრომელთა სიგნალებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემის გაჭიანურების შემთხვევები. ზოგიერთი მუშაკი ბიუროკრატიულ ჭაობშია ჩაფლული. კიდევ მეტი, ბოროტად იყენებს თანამდებობას. ამ სამინისტროს პარტიული ორგანიზაცია ურიგდება დასახელებულ უწესოებას, ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსწორებისათვის, არ იყენებს წესდებით მინიჭებულ უფლებას.

ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, იმის მაგივრად, რომ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა გასწიოს და დარაზმოს კომუნისტები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უხეშად ერევა აღმასკომისა და მისი განყოფილებების სამეურნეო ფუნქციებში. აქ პარტიულ კრებებზე იმის შესახებ კი არ მსჯელობენ, რომ აამაღლონ კომუნისტების ავანგარდული როლი, საქმიანად მოაწყონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, დაეხმარონ აპარატს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, არამედ იმაზე, თუ როგორ შეცვალონ ორგანიზატორული, დამრაზმავი საქმიანობა პარტიის წესდებით მინიჭებულ უფლებათა საწინააღმდეგოდ.

ეს მაგალითები მოწმობენ, რომ დაწესებულების ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ივიწყებს საწესდებო მოვალეობას, ივიწყებს პარტიის მითითებას იმის შესახებ, რომ პარტიული ორგანიზაცია პირველ რიგში აგებს პასუხს საბჭოთა აპარატში სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობისათვის, აპარატის საქმიანობის განუხრელად გაუმჯობესებისათვის.

რაც უფრო მაღალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო შინაარსიანი და ნაყოფიერია მათი მუშაობა. სამწუხაროდ, ყველგან სათანადოდ როდი ითვალისწინებენ ამ ჭეშმარიტებას, ყველგან საჭირო ყურადღებას როდი აქცევენ იდეოლოგიურ საქმიანობას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ფორმალურად უდგებიან მარქსისტულ-ლენინური თეორიით კადრების შეიარაღების საქმეს. პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე, მართალია, ზოგჯერ განიხილავენ პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს, იღებენ დადგენილებებსაც, მაგრამ ეს დადგენილებანი მხოლოდ ქაღალდზე რჩება, არ ზრუნავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. დასახელებული და კიდევ მთელ რიგ სხვა დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები არ ზრუნავენ იმისათვის, რომ კადრები დაუღალავად სწავლობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს და თეორიის ღრმად დაუფლებასთან ერთად მუშაობაში პრაქტიკულად ახორციელებდნენ იმ დასკვნებს, რომლებიც ამ თეორიიდან გამომდინარეობენ.

დაწესებულებათა ცალკეული პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი დონე იმითაც აიხსნება, რომ პარტიული კომიტეტები მათ სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროების, მათი მდივნების დასახმარებლად არ აწყობენ კვალიფიციურ სემინარებს, პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე არ განიხილავენ ცალკეული პირველადი ორგანიზაციების მუშაობას, არ ახდენენ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, იშვიათად მიდიან პარტიულ ორგანიზაციებში, კონკრეტულად, საქმის ცოდნით არ ხელმძღვანელობენ მათ.

პარტია საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა და მოითხოვს, რომ ისინი უნარიანად ეხმარებოდნენ საბჭოთა აპარატის მუშაკებს, მთელ აპარატს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში, გრძნობდნენ პასუხისმგებლობას სახელმწიფო დისციპლინის და სოციალისტური კანონიერების დაცვაში, ზრდიდნენ კადრებს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

პარტიის ამ დავალებას დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები მხოლოდ მაშინ შეასრულებენ, თუ კიდევ უფრო განამტკიცებენ კავშირს მასებთან, სრულყოფენ პარტიული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, უკეთ მოაწყობენ იდეოლოგიურ მუშაობას და უზრუნველყოფენ თავიანთი ორგანიზატორული როლის შემდგომ ამაღლებას.

ცალკე ბროშურებად გამოიცა ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიკოიანისა და მ. გ. პერვუხინის სიტყვები სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურებად გამოსცა ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიკოიანისა და მ. გ. პერვუხინის სიტყვები სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე.

ბროშურები გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).



საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

მზესუმზირისა და კარტოფილის თოხნა

ბურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაჩაღდა მზესუმზირისა და კარტოფილის თოხნა. სოფელ ჭანდარის კოლმეურნეობამ უკვე გათოხნა 21 ჰექტარი მზესუმზირა, ხოლო სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 60 ჰექტარიდან გათოხნა 50 ჰექტარი.

კარტოფილის თოხნას შეუდგნენ სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობაში. აქ გათოხნეს პირველი ორი ჰექტარი კარტოფილი. დაიწყო აგრეთვე ბოსტნეულის დამუშავება.

საგაზაფხულო კულტურების თესვა 266 ჰექტარზე დაამთავრა გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობამ. კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 21 ჰექტარი სიმინდი. სოფელ კოლაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 108 ჰექტარის ნაცვლად დათესეს 112 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. გეგმით გათვალისწინებული 30 ჰექტარის ნაცვლად დათესეს 47 ჰექტარი სიმინდი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივი წესით—35 ჰექტარი.

საგაზაფხულო კულტურების თესვის დავალება დიდი წარმატებით დაამთავრა გურჯაანის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ა. მამულაშვილი ხელმძღვანელობს. იგი ახლა სხვა ბრიგადებს ეხმარება.

რაიონის კოლმეურნეობებში დამთავრდა ვაზის აკვრა და სარის შედგმა. ამ დღეებში დაიწყება ვაზის შეწამლვა.

ჩაის ფოთლის კრეფა

ქობულეთი. („კომუნისტის“ კორ.). ჩაის პლანტაციებში ყოველდღიურად მატულობს საკრეფი ჰექტარების რაოდენობა. 26 კოლმეურნეობიდან 16 კოლმეურნეობამ უკვე დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. ამ სამუშაოს შეუდგნენ აგრეთვე ხუთ საბჭოთა მეურნეობაში.

მარტო ერთ დღეს მოიკრიფა 34,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ რაიონში მოკრეფილია სამოც ტონაზე მეტი ჩაი. გამოშვებულია პირველი ასეული კილოგრამი ახალი მოსავლის ჩაის პროდუქცია.

ჩაის კრეფაში დაწინაურდა სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც მოკრეფილი აქვს თორმეტ ტონამდე ჩაის ფოთოლი. მარტო ერთ დღეს აქ ხუთი ტონა ფოთოლი მოკრიფეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდის ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. პავლიდი ხელმძღვანელობს.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი

საგზაფხულო ბრიგადის ბრიგადირი გიორგი ჩუნთიშვილი

გ. ჩუნთიშვილი.

საგაზაფხულო თესვაში საგარეჯოს მტს-ში განსაკუთრებით დაწინაურდა მეორე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტი გიორგი ჩუნთიშვილი. 7 წელია, რაც ეს ბრიგადა სოფელ მანავის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას ემსახურება. კოლმეურნეები კმაყოფილი არიან სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორთა მაღალნაყოფიერი შრომით.

ჯერ კიდევ შარშან ბრიგადის კოლექტივმა ყველა სატრაქტორო სამუშაოს საერთო გეგმა 150 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 30 ტონამდე საწვავი. ტრაქტორების შემოდგომაზამთრის რემონტის გეგმა აქ ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდეს. მექანიზატორებმა საგაზაფხულოდ 380 ჰექტარზე მეტი მოხნეს. მათ მოკლე ვადაში მთლიანად დაამთავრეს მზესუმზირას, საგაზაფხულო ქერის, ფეტვისა და საკვები ძირხვენა კულტურების თესვა. მზესუმზირა კვადრატულ-ბუდობრივად 80 ჰექტარზე უნდა დათესათ, ფაქტიურად 95 ჰექტარზე დათესეს, ამავე წესით სიმინდი დათესეს 100 ჰექტარზე.

კოლმეურნეობის ნაკვეთებში ბრიგადის მექანიზატორთა დახმარებით გატანილია 295 ტონა ნაკელი და 146 ტონა მინერალური სასუქი, ამასთან 400 ჰექტარ ფართობზე გაიყვანეს სარწყავი ქსელი. სატრაქტორო სამუშაოთა შესრულებისას მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მექანიზატორებმა დაზოგეს 10 ტონა საწვავი.

ბრიგადის მოწინავე ტრაქტორისტები ვ. ფხალაძე, კ. კურდღელაშვილი, თ. ფოცხვერაშვილი ორმაგად ასრულებენ ხვნის დღიურ ნორმებს, ხოლო ტრაქტორისტები ვ. ბორაშვილი და ი. ბეროშვილი სიმინდსა და მზესუმზირას ცალკეულ დღეებში მწკრივად თესავენ 15-16 ჰექტარზე. ამავე კულტურებს კვადრატულ - ბუდობრივი წესით მექანიზატორები 12-13 ჰექტარამდე თესავენ.

შემცველი ტრაქტორისტები ნ. ლოლაძე და ნ. ტაბატაძე „ს-80“ მარკის ტრაქტორს 3 წლის მანძილზე ისე ამუშავებენ, რომ კაპიტალური და მიმდინარე რემონტი არ დასჭირებია. ამ ტრაქტორით სახელოვანმა მექანიზატორებმა ვენახის გასაშენებლად წელს პლანტაჟი ამოიღეს 30 ჰექტარზე და დავალება სამმაგად გაანაღდეს.

ეს წარმატებანი იმის შედეგია, რომ გ. ჩუნთიშვილს ბრიგადაში სანიმუშოდ აქვს მოწყობილი შრომა. დანერგილია ორცვლიანი მუშაობა. მექანიზატორები ღამით წინასწარ ამზადებენ ნიადაგს დასათესად. მუხლუხა ტრაქტორი დაკომპლექტებულია ორი ტრაქტორისტითა და მისაბმელ მანქანაზე მომუშავეებით. ტრაქტორისტები დროულად მარაგდებიან საჭირო საწვავითა და სხვა მასალებით. მათ მინდორში ადგილზე აქვთ მიტანილი საჭირო მარაგწყალები. ამით მინიმუმამდეა დაყვანილი იარაღმანქანების მოცდენა. ბრიგადირმა ჩუნთიშვილმა განაცხადა: ბრიგადა იმისათვის იბრძვის, რომ არ დათმოს პირველობა ტექნიკის უკეთ გამოყენებისა და მაღალი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გ. გელაშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გამოწვევა მიღებულია!

წერილი სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს ამხ. დ. ნავროზაშვილს

ძვირფასო ამხანაგებო! გულდასმით გავეცანით თქვენს წერილს, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „კომუნისტის“ 28 აპრილის ნომერში. ჩვენ თანახმა ვართ ჩავებათ თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. უწინარეს ყოვლისა, გიამბობთ ჩვენი ბრიგადის შრომითს წარმატებებზე.

ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა მომსახურებას უწევს შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას. საგაზაფხულო ხვნა 120 ჰექტარზე უნდა ჩაგვეტარებინა, ფაქტიურად 163 ჰექტარი მოვხანით. მზესუმზირას თესვა ვადამდე დავამთავრეთ. დავთესეთ აგრეთვე 10 ჰექტარი საკვები ჭარხალი, 16 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახი. სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად 65 ჰექტარზე უნდა დაგვეთესა, ფაქტიურად 68 ჰექტარზე დავთესეთ.

არც ვენახებისა და საშემოდგომო ნათესების დამუშავებაში ვართ ჩამორჩენილი. ჯეჯილი სამას ჰექტარზე დავაზიგზაგეთ. 51 ჰექტარი ვენახი მწკრივთა შორის მოვხანით.

ბრიგადის ტრაქტორისტები ბეჯითად მუშაობენ. ტრაქტორისტი ოთარ ზუროშვილი ყოველდღიურად 13-15 ჰექტარ სიმინდს თესავდა კვადრატულ-ბუდობრივად. ახლა იგი „კდ-35“ მარკის ტრაქტორით 120-140 პროცენტით ასრულებს ვენახების ხვნის დავალებას. ტრაქტორისტი ვალერიან ფეიქრიშვილი დღეში 20 ჰექტარ სიმინდს თესავს კვადრატულ-ბუდობრივად.

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ საგაზაფხულო თესვა მთლიანად დავამთავროთ 8 მაისისათვის, სათონნე კულტურების კულტივაცია ჩავატაროთ სამჯერ, დავზოგოთ საწვავი მასალის 12 პროცენტი.

ვიღებთ რა თქვენს გამოწვევას, ჩვენი მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ახმეტის მტს-ის იმ სატრაქტორო ბრიგადას, რომელსაც სოლომონ რამაზაშვილი ხელმძღვანელობს.

თელავის მტს-ის მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **დ. გიგოლაშვილი**, ბრიგადირის თანაშემწე **ს. გიგოლაშვილი**, ტრაქტორისტები: **ვ. ფეიქრიშვილი, ე. გიგოლაშვილი, ო. ზურაბაშვილი, ა. გრემელაშვილი, ვ. გაზერაშვილი.**

რომ შეჰხაროდე გარაქას, დოვლათს, ნუღარ დააკლებ ნათესებს მოვლას!

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირი

4 მაისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობს 2.200 კაცი. მათ შორის არიან რკინიგზის ტრანსპორტის მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენლები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები, სამეურნეო, პოლიტიკური და პროფკავშირული მუშაკები, სამინისტროთა წარმომადგენლები.

რკინიგზების 1953 წლის მუშაობის შედეგებისა და რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა გზათა მინისტრმა ამხ. **ბ. პ. ბეშჩევმა.**

მომხსენებელი ახასიათებს სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის განუწყვეტელ ზრდას. ფოლადის მაგისტრალების ტვირთბრუნვამ 1940 წელს 6,3-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს, ხოლო ახლა — 12-ჯერ და მეტად.

შარშან დატვირთვის გეგმა ჩვენი ქვეყნის ყველა რკინიგზამ შეასრულა. გაუმჯობესდა მასობრივი მოხმარების საქონლის გადაზიდვა, რამაც ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყანაში საქონელბრუნვის გაშლას.

რკინიგზის ტრანსპორტში კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობამ 1953 წელს 75,2 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ ოდენობას, ხოლო 1952 წელთან შედარებით კაპიტალდაბანდება 13 პროცენტით გადიდდა.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების ამოცანა, მძიმე ინდუსტრიის ახალი ზრდა მოითხოვს ტრანსპორტის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაგონის ბრუნვის შემდგომ დაჩქარებას. დანიშნულებისამებრ ტვირთის მიტანის მხოლოდ ერთი პროცენტით დაჩქარება საშუალებას მოგვცემს ბრუნვიდან გავათავისუფლოთ სულ ცოტა 250 მილიონი მანეთის მატერიალური ფასეულობა. საჭიროა გამოვიყენოთ კომერციულ და ტექნიკურ სიჩქარეთა გადიდების,. სატვირთო მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ტვირთზიდვის მარშრუტიზაციის გადიდების რეზერვები.

ამხ. ბეშჩევი შემდეგ ლაპარაკობს რკინიგზის ქსელის გაფართოებაზე, ტრანსპორტში ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვაზე, შეჯიბრებაზე შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის, შინაგეზერვების სრული გამოყენებისათვის.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერდეს საშუალო და ძირეული რგოლის კადრების და პირველ რიგში სადგურის, დეპოს, ლინდაგისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსების, სამშენებლო უბნების. საამქროს უფროსების როლი და მნიშვნელობა.

ამხ. ბეშჩევმა აგრეთვე აღნიშნა რკინიგზებისა და გზათა სამინისტროს სამმართველოთა მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. არ სრულდება ვაგონების ბრუნვის დაჩქარების, ცალკეული სახეობის ტვირთების გადაზიდვის დავალება, სუსტად ვრცელდება მოწინავე გამოცდილება, ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ იგვიმება მატარებელთა მუშაობა გზათა სამმართველოებსა და განყოფილებებში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. მოსკოვ-კიევის რკინიგზის უფროსმა ამხ. **ბოგდანოვმა** ილაპარაკა, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ამ მაგისტრალის მუშაკები დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. გზამ გადაჭარბებით შეასრულა ტვირთზიდვის წლიური გეგმა. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მემანქანეებმა, როგელთა უმრავლესობაც დაეუფლა მძიმე წონის მატარებელთა წაყვანის ხელოვნებას. ტვირთის გამგზავნებთან ერთად დიდი მუშაობა სრულდება ვაგონების ტვირთმზიდაობისა და ტევადობის გამოყენების გასაუმჯობესებლად. ფართოდ იყენებენ ხე-ტყისა და აგურის მჭიდროდ დატვირთვის მეთოდს.

სამხრეთ ურალის რკინიგზის კურგანის დეპოს წარჩინებული მემანქანე სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ბლინოვი** ამბობს, რომ მძიმე წონის მატარებლები საშუალებას იძლევა დამატებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გადავზიდოთ ტვირთები ისე, რომ არ ვამუშაოთ ზედმეტი ორთქლმავლები. მაგრამ გზის ექსპლოატაციის დარგის მუშაკები ამ საკითხს არ სწავლობენ.

დონეცის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსმა ამხ. **ზელიონინმ** აღნიშნა, რომ 1953 წელს ამ მაგისტრალზე დაიტვირთა 21 ათასი და დაიცალა 74 ათასი ვაგონით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო წლიური გეგმით, ვაგონის ბრუნვა დაჩქარდა ნახევარი საათით. კარგი შედეგებია მიღწეული მოძრავი შემადგენლობის გამოყენებაში.

ტომსკის რკინიგზის სადგურ ტაიგის სავაგონო უბნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ელჩანინოვამ** ილაპარაკა ტრანსპორტზე მომუშავე ახალგაზრდობის ყოველდღიურ შრომაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა **მურატოვმა** — ტომსკის რკინიგზის უფროსმა, **იგნატოვმა** — მოსკოვ-კურსკ-დონბასის რკინიგზის ტულის სადგურის განყოფილების მორიგემ, **კრუპსკიმ** — კიევის ვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსმა, **პოდლესნიმ** — დონეცის რკინიგზის იასინოვატაიას სადგურის უფროსმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლ. მ. კაგანოვიჩი** და საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ნ. მ. შვერნიკი.**

დღეს თათბირი განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

პრესის დღის ღღესასწაული

5 მაისს საბჭოთა ხალხმა აღნიშნა პრესის დღე. დედაქალაქის საწარმოდაწესებულებებში, სასწავლებლებში, სალექციო დარბაზებში გაიმართა კრებები და მოხსენებები.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის ჟურნალ-გაზეთების, გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოების მუშაკთა და მუშაკორთა აქტივის კრება, მიძღვნილი პრესის დღისადმი.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ფურცევამ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. სტრეპუხოვმა. ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში გუშინ გაიხსნა გამოფენა, მიძღვნილი საბჭოთა პრესის დღისადმი. ახლა ჩვენს ქვეყანაში 7.800-მდე გაზეთი გამოდის. მათი ერთჯერადი ტირაჟი 44 მილიონ ცალს აღემატება. დიდ ფარებზე გაკრულია რეს-პუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთების მასალები. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ უწევს საბჭოთა პრესა პროპაგანდას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, რომელთა მიზანია მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება.

პრესის დღისადმი მიძღვნილი გამოფენები გაიხსნა აგრეთვე მოსკოვის ბიბლიოთეკებში. (საკდესი).

თბილისის პრესის მუშაკთა კრება

გუშინ, 5 მაისს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჟურნალ-გაზეთების, გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშაკების საქალაქო კრება, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი პრესის დღისადმი.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. სეხნიაშვილმა.

პრესის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ამხ. ი. ჩხიკვიშვილმა. მან ილაპარაკა, თუ რა სახელოვანი ტრადიციები აქვს საბჭოთა პრესას, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეულად ასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის როლს, თუ რა პასუხსაგები და საპატიო ამოცანები დგას პრესის წინაშე კომუნისტური მშენებლობის საქმეში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების იმ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

კრებაზე ილაპარაკეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ ამხ. რ. ქურციკიძემ, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორმა ამხ. ზ. პოლოსიანმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ბ. ნინიტაშვილმა, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთის „კიროველის“ რედაქტორმა ამხ. ა. ბეთანელმა.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

საგაზეთო თემაზე

პასუხსაგები და კეთილშობილური ამოცანა

ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, გაზეთმა „სოვეტსკაია აბხაზიამ“ უკანასკნელ ხანს გააძლიერა ყურადღება იმისადმი, რომ თავის ფურცლებზე აშუქებდეს ავტონომიური რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს.

თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩვენი გაზეთის კოლექტივს მიაჩნია სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება. გაზეთში შემოღებული გვაქვს მუდმივი განყოფილება „მოწინავე საკოლმეურნეო გამოცდილების ტრიბუნა“. ამ რუბრიკით სისტემატურად იბეჭდება მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელების თავმჯდომარეთა, ბრიგადირთა, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა სტატიები.

გაზეთის ფურცლებზე დაწვრილებით გვიამბეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გამოცდილებაზე გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „ღურიფშის“ თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. არძინბამ, გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ერქვანიამ, გუდაუთის რაიონის მუგუძირხვის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბესლანიამ, სოხუმის რაიონის სოფელ ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. ხვიტიამ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ მეორე ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. ელეკჩიანმა, გალის რაიონის სოფელ ჟუტურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა შ. აქუბარდიამ, სოფელ ცხრიგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. შონიამ და სხვ.

გამოვაქვეყნეთ რამდენიმე თემატური გვერდი, რომლებიც მიეძღვნა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. სოხუმის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „მეგობრობის“ მოწინავე მებოსტნეებმა მოგვითხრეს იმაზე, თუ როგორ ამუშავებენ ნოყიერ მიწებს, როგორ იყენებენ სხვა რეზერვებს მებოსტნეობის აღმავლობისათვის. ფართოდ გაშუქებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გაჩაღდა გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასა და კრასნოდარის მხარის აღლერის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებს შორის.

აფხაზეთის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და მეცნიერებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის. გაზეთში გამოქვეყნდა გამოფენის მონაწილეობის კანდიდატის — გულრიფშის რაიონის სოფელ კოდორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობის გამოცდილებისადმი მიძღვნილი გვერდი.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა მთელი რიგი მასალები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა დანერგვას საკოლმეურნეო პრაქტიკაში.

მაგრამ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. საკმაო სიღრმით ვერ ვავლინებთ გამოუყენებელ რეზერვებს, სუსტად ვიბრძვით გამოქვეყნებული მასალების ქმედითობისათვის. რედაქცია საკმო მიზანსწრაფვას ვერ იჩენს მაღალი მოსავლიანობისათვის და მეცხოველეობის პროდუქტიულობისათვის ბრძოლის მოწინავე მეთოდების პროპაგანდაში.

მოწინავე მეურნეობათა მუშაობის გამოცდილების ჩვენებასთან ერთად გაზეთში ფართოდ შუქდება საქმის ვითარება ჩამორჩენილ, უმთავრესად შორეულ, მაღალმთიან კოლმეურნეობებში. აქვეყნებს რა ამ მასალებს, გაზეთი მიზნად ისახავს დაეხმაროს კოლმეურნეებს იმაში, რომ გამოავლინონ ჩამორჩენის მიზეზები, წარმართონ თავიანთი ღონისძიებანი საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობისათვის. მაგრამ, ვლასპარაკობთ რა ჩამორჩენილ არტელებზე, ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ვუკავშირებთ ამ საკითხების გაშუქებას იმ ამოცანას, რომ გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ. ჩვენს გაზეთში ჯერ კიდევ ნაკლებად იბეჭდება მასალები მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. კორესპონდენციები, რომლებიც გულრიფშის, გუდაუთისა და ზოგიერთი სხვა მტს-ის მუშაობის შესახებ დაიბეჭდა, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავს ჩვენს ამოცანებს ამ დარგში.

ახლანდელ პირობებში გადამწყვეტი როლი ენიჭება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფას. გაზეთმა მთელი რიგი მასალები გამოაქვეყნა ამ თემებზე. მწვავედ, საქმიანად გაკრიტიკებულ იქნა მუშაობა პარტიის სოხუმის რაიკომისა, რომელსაც მხედველობიდან გამორჩა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორიც არის მებოსტნეობა. აგრეთვე დაბეჭდეთ მასალა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში პარტიის გუდაუთის რაიკომის ნაკლოვანებათა შესახებ და სხვ. მიუხედავად ამისა, პარტიული კომიტეტების მუშაობა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის დარგში ყოველმხრივ და ღრმად ვერ შუქდება გაზეთში.

რედაქცია მთელ ძალ-ღონეს მოახმარს იმას, რომ ყოველმხრივ გააფართოოს და განამტკიცოს თავისი კავშირი აქტივთან, მრავალფეროვანი გახადოს მასალების გამოქვეყნების ფორმები, გააძლიერებს დახმარებას აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციისადმი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დარგში მის წინაშე მდგომი დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში.

ა. გალათურია,
გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ რედაქტორი.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა წელს უნდა გამოუშვას 70 სხვადასხვა მოჩითულობის აბრეშუმის ქსოვილი. უკვე ათვისებულია 27 მოჩითულობის ქსოვილის წარმოება. სურათზე: შემფუთავი განყოფილების წუნდებლები ნ. თათიევსიანი (მარცხნივ) და ნ. ტატულაშვილი ამოწმებენ ახალი მოჩითულობის ქსოვილების ხარისხს.

ფოტო ვ. ზარიძისა.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში რუსთავის მეტალურგებმა სასიხარულო ცნობა მიიღეს. სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საურნალო საამქროს კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით შავი მეტალურგიის სამინისტროს დამხმარე საწარმოთა შორის მეორე ადგილი დაიკავა.

დამხმარე საამქროთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ამ საამქროს მარტში მოიპოვა ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც ამჟამადაც ინარჩუნებს.

საურნალო საამქროს ჯართის დამუშავებლებმა აპრილის საწარმოო დავალება 106,8 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მარტენის საამქროს მეფოლადეებს მიაწოდეს 492 ტონა ჯართი, ხოლო სამსხმელო საამქროს — 225 ტონა. ამასთან დაზოგეს დიდძალი ენერგია და ჯართი.

საამაყო შრომითი მაჩვენებლების მოპოვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საურნალო საამქროს მოწინავე ადამიანებმა — ჯართის მჭრელებმა მ. დედაბრიშვილმა, ვ. მარგალიტაშვილმა, გ. ქერაშვილმა, ხიდურა ამწეთა მემანქანეებმა რ. გურგენიძემ და გ. მელაძემ. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 150-170 პროცენტით ასრულებენ.

გარდამავალი წითელი დროშა ღვინის მოწინავე ქარხნის კოლექტივს

სამტრესტის ღვინის № 1 ქარხანაში სამაისო დღესასწაულის წინ მოსკოვიდან ახალი სასიხარულო ამბავი მოვიდა: მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ქარხნის კოლექტივს მიენიჭა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

ქარხნის მუშები მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებებით შეეგებნენ დღესასწაულს — აპრილის გეგმის გადამეტებით მომხმარებლებს მიაწოდეს სამი ათას დეკალიტრზე მეტი საუკეთესო ხარისხის ქართული ნატურალური ღვინოები.

წერილები ტყიბულიდან

II. ფართო გზა—ახალს, პროგრესულს

ტყიბულში მრავალი ათეული წლის განმავლობაში ქვანახშირის უმძლავრეს ფენებს ამუშავებდნენ სხვადასხვა წესით. ამ წესებს შორის ქვანახშირის ფენათა სახურავის ჩამოქცევა აქ ყველაზე პოპულარული იყო. ასეთი მეთოდით ქვანახშირის მოპოვებას მიეჩვიენ ტყიბულში, და რაკი ჩვეულება, ანდაზისა არ იყოს, რჯულზე უმტკიცესია, მასზე უარის თქმა ეზარებოდათ. ქვანახშირის ფენათა დამუშავების ეს წესი ტყიბულის პირობებში ახლა მოძველებული, სახალხო მეურნეობის ინტერესთა თვალსაზრისით მიუღებელია. რატომ, თუ ვინმე იკითხავს, ტყიბულელი მეშახტეები ადვილად განუმარტავენ: — იმიტომ რომ ქვანახშირის დანაკარგები სქელი ფენების ამ წესით დამუშავებისას დიდია, უსაშიშრობის დაცვის საქმე ერთობ რთულდება და სხვა მრავალი არასასიამოვნო შედეგიც თან სდევს ქვანახშირის ფენათა დამუშავებისას სახურავის ჩამოქცევას.

ამავე დროს არსებობს ფენათა დამუშავების ყველაზე უფრო პროგრესული, მეცნიერულად დასაბუთებული მოწინავე მეთოდი — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი, რომელიც ტყიბულში პირველად დანერგილ იქნა სტალინის სახელობის შახტში, შემდეგ ნაწილობრივ ლენინის სახელობის შახტში და დაიწყეს მზადება ამ მეთოდის დასანერგავად მოლოტოვის სახელობის შახტში. სტალინის სახელობის შახტის 7 წლის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი ყველაზე მეტად შეეფერება ტყიბულის საბადოთა პირობებს, ყველაზე მისაღები და რაციონალური მეთოდია ქვანახშირის ფენათა დამუშავების სხვა მეთოდთა შორის.

კაცი იფიქრებს — რაკი ასეა, მაშასადამე, ტყიბულქვანახშირის ტრესტი და საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის კომბინატი ყველა ზომას მიიღებდნენ ამ მეთოდით მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის გამოცდილების განზოგადებისათვის, ჰიდრავლიკური ვსების ტექნიკის შემდგომი სრულყოფისათვისო.

არ მიიღეს ყველა ზომა, არ შეიცადნენ ამ მოწინავე მეთოდის შემდგომ სრულყოფას. ამ სტრიქონების ავტორებმა ვიცით, რომ ასეთი ბრალდების გამო ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და შესაძლოა კომბინატის ხელმძღვანელებიც პროტესტს განაცხადებენ, როგორ არ შევეცადეთ, რაც ჩვენგან იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთეთ და რა ჩვენი ბრალია, თუ თვითონ შახტში ვერ გაართვეს საქმეს თავიო. მაგრამ ფაქტი ჯიუტი რამ არის.

აი, მაგალითად, ერთ-ერთი „ჯიუტი“ ფაქტი:

ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით მუშაობისათვის აუცილებელია რაციონალურად მოწყობილი, კარგად გამართული საკარიერო მეურნეობა. თუ შახტს არა აქვს სავსები მასალა, წვრილი ფრაქციის ბალასტის მარაგი, უნაკლოდ გამართული ქვისსამსხვრევი დანადგარები და სათანადო მოცულობის ე. წ. ამრევი ბუნკერები, ისე შეუძლებელია ჰიდრავლიკური ვსების განხორციელება, ამ მეთოდით შახტში გამონამუშევარი სიცრცეების შეუფერხებლად ამოვსება.

საკარიერო მეურნეობის საქმე კი საერთოდ ტყიბულში, ხოლო კერძოდ სტალინის სახელობის შახტში (არანაკლებ ლენინის სახელობის შახტშიც) სრულიად მოუწესრიგებელია.

სტალინის სახელობის შახტის უფროსი ი. ვოლობუევი და მთავარი ინჟინერი ი. მამაცაშვილი უმწეო გამომეტყველებით აღნიშნავენ:

— რა ვქნათ, საკარიერო მეურნეობის კომპლექსის მოუწესრიგებლობა დიდად გვიშლის ხელს ჰიდრავლიკური ვსების განხორციელებაში, მაგრამ ჩვენ უღონონი ვართ, ამ საქმეში ტრესტს უნდა მოეთხოვოს პასუხი.

ტრესტში კი ამ საკითხზე მისულს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის კომბინატზე მიუთითებენ და იმავე პასუხით, რაც შახტში უკვე მოისმინა, თავიდან მოიშორებენ.

რატომ შეიქმნა ასეთი მდგომარეობა, რატომ არ არის მოწესრიგებული საკარიერო მეურნეობა? იმიტომ, რომ თავიდანვე საკარიერო მეურნეობის დაპროექტება და მშენებლობა ტექნიკურად ამ საქმეში მოუმზადებელ ადამიანებს მიანდეს და ახლა საჭიროა საგრძნობი თანხების გაღება იმისათვის, რომ გამოუცდელობით შემორჩენილი ეს ძველი ცოდვა გამოასწორონ. ამას კი არავინ აჩქარის, საკარიერო მეურნეობა ისევ ძველ მდგომარეობაშია.

მაგრამ არ კმარა მარტოოდენ ბალასტის ამრევი ბუნკერის მოცულობის გადიდება. ამასთან შახტს ისე არ შეუძლია ჰიდრავლიკური ვსების შეუფერხებლად განხორციელება, თუ მას არ ექნა ბალასტის გარკვეული მარაგი. ზოგჯერ ცუდ ამინდში ბალასტის მოპოვება გართულებულია. ესეც არ იყოს, ცუდ ამინდში ბალასტი სველდება, ბუნკერის კედელს ეწებება, ამიტომ ბალასტი საჭიროა შენახული ჰქონდეთ მშრალად, ფარდულს ქვეშ. მაშასადამე, საჭიროა სასაწყობო მეურნეობის მოწყობა.

არც ამას აჩქარის ტრესტი, ხოლო შახტის ხელმძღვანელები კი, რაცა საქმე სადავიდარაბო გახდება, კვლავ უმწეოდ ჯაშლიან ხელებს და თავისმართლებას შეუდგებიან.

გადაჭრით უნდა ითქვა, რომ ტყიბულქვანახშირის ტრესტის [illegible] შახტებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა არ იგრძნობა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ის შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა სტალინის სახელობის შახტისათვის საკარიერო მეურნეობის დაპროექტებასა და მშენებლობაში, გამეორებულ იქნა ლენინის სახელობის შახტის საკარიერო მეურნეობის დაპროექტების დროს.

კიდევ ერთი საკითხი: ჰიდრავლიკური ვსების ტექნიკა ტყიბულის პირობებში ბევრ კორექტივს, დიდ მეცნიერულ-შემოქმედებითს მუშაობას მოითხოვს. ტყიბულში, სტალინის სახელობის შახტში წამოიჭრა ასეთი საკითხი: ლავების დამუშავებისას რა წესით უკეთესია ვაწარმოოთ ქვანახშირის ფენების გამოღება და ჰიდრავლიკური ვსება — ფენის აღმავლობის (ქვევიდან ზევით), თუ დაღმავლობის (ზევიდან ქვევით) მიხედვით. პრაქტიკოსები ამბობენ, რომ უმჯობესია ვსება განვახორციელოთ აღმავალი მიმართულებით. ქვანახშირის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერი მუშაკები საწინააღმდეგო აზრისა არიან. ახლა გადაწყვეტილია მეცნიერ მუშაკთა განკარგულებაში აქ გამოჰყონ ერთი უბანი ცდების მოსაწყობად. ამით გადაწყდება ამ საკითხზე დავა წარმოების მუშაკებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის. მაგრამ ასეთი საკითხები ხომ სხვაც ბევრია. იმ ფილიალის მუშაკები, რომელსაც ამხ. ბ. გუჯეჯიანი ხელმძღვანელობს, ცალკე მიიწევენ, ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და შახტების მუშაკები სულ სხვა მიმართულებით მიდიან, დავობენ, ანგარიშს არ უწევენ ერთმანეთს, საქმე კი ამასობაში ერთ ადგილზე დგას. ასეთი მდგომარეობის დიდი ხნით მოთმენა შეუძლებელია. ერთი მხრივ ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელები, შახტების ხელმძღვანელები და მეორე მხრივ ინსტიტუტის ფილიალის მუშაკები შეწყობილად, გაერთიანებული შემოქმედებითი ძალებით უნდა მუშაობდნენ. ეს საერთო წარმატების საწინდარია.

ახლა კი მთავარია საკარიერო მეურნეობის მოსაწყობ სამუშაოთა დაჩქარება, რათა ქვანახშირის ამოღებაში შემდგომ აღმავლობას არაფერმა შეუშალოს ხელი, ტყიბულელ მეშახტეებს მიეცეთ იმის საშუალება, რომ ბოლომდე შეინარჩუნონ საქართველოს მეშახტეებს შორის წლიური გეგმების უკეთესი მაჩვენებლებით შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ლიდერობა.

დ. ლომთაძე, ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ზუგდიდელ კოლმეურნეთა დელეგაცია გაემგზავრა უკრაინაში

ზუგდიდი, 5 მაისი. თითქმის 15 წელიწადია გრძელდება ზუგდიდის რაიონისა და უკრაინის სსრ სუმის ოლქის ტალალაევკის რაიონის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება. ორი მომმე რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.

მომდინარე წლის იანვარში ტალალაევკელი კოლმეურნეები იყვნენ ზუგდიდში. მათ მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ შეკრებაში. აქ ორი რაიონის კოლმეურნეთა შორის დადებულ იქნა მომდინარე წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

5 მაისს ზუგდიდელ კოლმეურნეთა დელეგაცია გამგზავრა უკრაინაში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სოფელ ჩხორიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ჭითანავა, სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ვ. მაქაცარია, სოფელ რუხის კოლმეურნეობის წევრი სოციალისტური შრომის გმირი ა. ფარცვანია და სხვები. მათ უკრაინელ მეგობრებთან საჩუქრად მიაქვთ ლიმონის, ფორთოხლის და დაფნის ყინვაგამძლე ჯიშების ნერგები. (საქდესი).

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან

ახლებურად მუშაობის პირველი ნაბიჯები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ პარტიულ ორგანიზაციებს ახალი ამოცანები დაუსახა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში. პლენუმმა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა აღკვეთონ სოფლის მეურნეობისადმი ზერელე, ფორმალური ხელმძღვანელობა, აამაღლონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, უზრუნველყონ გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტებისა და კომკავშირელების სწორი განაწილება, კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები განამტკიცონ კვალიფიციური კადრებით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიის გორის რაიკომს თავის მუშაობა აჰყავს ახალი ამოცანებისა და მოთხოვნების დონემდე. რაიკომი მთავარ ყურადღებას აქცევს ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა წარმატებით გადაჭრა უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას. ერთ-ერთი ასეთი საკითხია კოლმეურნეობებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა. სექტემბრის პლენუმამდე რაიონის კოლმეურნეობებსა და 4 მტს-ში სოფლის მეურნეობის 53 სპეციალისტი მუშაობდა. პლენუმის შემდეგ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში სამუშაოდ დამატებით გაიგზავნა 56 სპეციალისტი. მათგან 3 არჩეულია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მაგალითად, აგროტექნიკოსი პ. გოდერძიშვილი ამ გზაფხულზე სოფელ ბერბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი უნარიანად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას. ბერბუკელმა კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს საგაზაფხულო ხვნა-თესვის გეგმა.

კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში წამყვან ძალას პირველადი პარტიული ორგანიზაციები წარმოადგენენ. რაიონში 780-ზე მეტი კომუნისტი მუშაობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე — მემინდვრეობის, მებაღეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში. ამჟამად პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან საგაზაფხულო სამუშაოებს. წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას.

ამ ბრძოლის შედეგები ასეთია: გორელმა კოლმეურნეებმა ვადაზე ორი კვირით ადრე შეასრულეს შაქრის ჭარხლის თესვა და ამ დღეებში შეუდგნენ რიგთა შორის პირველ გაფხვიერებას. უკვე გაფხვიერებულია შაქრის ჭარხლის პლანტაციების პირველი რამდენიმე ასეული ჰექტარი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სიმინდის თესვა და უახლოეს დღეებში გეგმა მთლიანად იქნება შესრულებული. 5 მაისისათვის კვადრატულ-ბუდობრივი წესით სიმინდი უკვე დათესილი იყო 1.200 ჰექტარი. დღეისათვის მთლიანად შესრულებულია ხორბლისა და ქერის საგაზაფხულო თესვის გეგმა. კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვის დავალება 200-ზე მეტი პროცენტით არის განაღდებული. სოფლების თორტიზის, შავშვების, ხიდისთავის, ქვახვრელის და სხვა კოლმეურნეობებმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — 1 მაისი საგაზაფხულო თესვის გეგმების წარმატებით შესრულებით აღნიშნეს და ახლა ფართოდ გააჩაღეს ნათესების მოვლა-დამუშავება.

კომუნისტები და კომკავშირელები 1954 წლის უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან. საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში თავი გამოიჩინა კომუნისტმა მექანიზატორმა, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. დ. ხუროშვილმა. მან პირველმა მოაწყო თავის ბრიგადაში სადღეღამისო თესვა. რაიონის ბევრი ტრაქტორისტი ამხ. ხუროშვილის მაგალითისამებრ მუშაობს და თესვის გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. რაიკომის მუშაკთა ჯგუფები ფართოდ ავრცელებენ ამ ძვირფას გამოცდილებას მექანიზატორთა შორის.

ტყვიავის მტს-ში თავდადებული და ინიციატივიანი მუშაობის მაგალითს იძლევა უბნის მექანიკოსი, კომუნისტი ყ. ბრეგვაძე. მან მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანა კვადრატულ-ბუდობრივ სათეს მანქანაში, რითაც აღკვეთა მანქანის მოცდენა და დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. იგი თვითონ მართავს ერთ-ერთ სათეს მანქანას და დღეში 8-ის ნაცვლად 12 ჰექტარს თესავს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები შექმნილია რაიონის 43 კოლმეურნეობაში. პარტიის რაიკომი დიდ ყურადღებას უთმობს მათ განმტკიცებას და სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას. დეკემბერსა და იანვარში პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა მოურიდებლად ამხილეს ნაკლოვანებანი და დასახეს საქმიანი ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის. პარტიული ორგანიზაციების მდივნებად არჩეულ იქნენ გამოცდილი, მომზადებული კომუნისტები, რომლებსაც შეუძლიათ საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას. თუ წინათ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებიდან უმაღლესი განათლება ჰქონდათ მხოლოდ 2-ს, ხოლო საშუალო განათლება — 16-ს, ახლა უმაღლესი განათლება აქვს 7-ს და საშუალო 22-ს. ამასთან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად მუშაობს უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სოფლის მეურნეობის 21 სპეციალისტი.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად განმტკიცდა და გაიზარდა გორის მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ახლა იგი 31 კომუნისტს აერთიანებს. პარტორგანიზაციის მდივნად არჩეულია ამხ. თ. ალავერდაშვილი, რომელიც ადრე რაისაბჭოს აღმასკომში მუშაობდა განყოფილების გამგედ. მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მექანიზატორთა შორის, სათავეში უდგას მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას. 1953 წლის დეკემბერში მტს-ში საფრთხე შეიქმნა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის IV კვარტალის გეგმის შესრულებაში. გაძხელდა დღიურ დავალებათა განაღდება, რადგან მტს-ი უზრუნველყოფილი არ იყო სათადარიგო ნაწილებით. მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის კრებაზე განიხილა რემონტის სამუშაოთა გეგმის შესრულების მდგომარეობა. კომუნისტებმა გამოაშკარავეს ჩამორჩენის მიზეზები და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი. საქმის გამოსასწორებლად კრებამ მიიღო ქმედითი დადგენილება, რომლის შესრულების მიმდინარეობაზე პარტბიურომ ყოველდღიური კონტროლი დააწესა. მტს-ში მალე მდგომარეობა გამოსწორდა. პირველი იანვრისათვის ტრაქტორების რემონტის კვარტალური გეგმა შესრულებული იყო მნიშვნელოვანი გადამეტებით. მექანიზატორებმა წარმატებით განახორციელეს ტრაქტორების რემონტის 1954 წლის პირველი კვარტალის დავალებაც.

წინათ რაიკომი საკოლმეურნეო კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის სისტემატურად არ მუშაობდა. ახლა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ვზრუნავთ მაქსიმალური დახმარება გავუწიოთ საერთო განათლების დონის ამაღლებასა და აგრობიოლოგიური ცოდნის დაუფლებაში სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსებს, რომლებიც კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად მუშაობენ. ასეთები კი არც ისე ცოტანი არიან. სოფლების ზეღდულეთის, ზერტის, მეჯვრისხევისა და ქვახვრელის კოლმეურნეობებმა გასულ წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავალი მიიღეს და სახელმწიფო ვალდებულებანი ვადამდე შეასრულეს. ამ კოლმეურნეობებს სათავეში უდგანან საკოლმეურნეო წარმოების გამოცდილი ორგანიზატორები, სოფლის მეურნეობის მცოდნე პრაქტიკოსები დ. დოთიშვილი, ს. გეურქოვი, ე. თომაშვილი, ა. მღებრიშვილი.

პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მტს-ების ზონების მიხედვით მოწინავე კოლმეურნეობებში მოაწყეს კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეების, სატრაქტორო და საკოლმეურნეო ბრიგადების ხელმძღვანელების, მერგოლურების და მექანიზატორების სამდღიანი სემინარი, რომელზეც განხილულ იქნა კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა-რგვისა და ამ წესით დათესილ-დარგული მცენარეების მოვლის საკითხი. სემინარმა კარგი შედეგი მოგვცა. ასეთ სემინარებს რაიკომი და რაიაღმასკომი შემდეგშიც სისტემატურად მოაწყობენ.

ამჟამად პარტიის რაიკომი პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების, ბრიგადირების, ფერმების გამგეების შემადგენლობის გასაუმჯობესებლად მოწინავე, გამოცდილ კოლმეურნეთა შერჩევით.

რამდენიმე თვეა მუშაობას შეუდგნენ რაიკომის მდივნები მტს-ების ზონებში და ინსტრუქტორთა ჯგუფები. რაიკომის მდივანმა ტყვიავის მტს-ის ზონაში ამხ. ს. გოდერძიშვილმა შეისწავლა, თუ რა საქმიანობას ეწევიან მტს-ის ზონის კომკავშირელები სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. შემდეგ ეს საკითხი განხილულ იქნა კომკავშირელთა კრებებზე. ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა კონკრეტული, საქმიანი გადაწყვეტილება. ახლა ზონის ინსტრუქტორები სისტემატურ კონტროლს უწევენ ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობას. ყოველივე ამის შედეგად უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მონაწილეობა მინდვრის სამუშაოებში.

პარტიის რაიკომის მდივანმა ახალსოფლის მტს-ის ზონაში ამხ. ი. ეცადაშვილმა შეისწავლა ამ ზონის კოლმეურნეობებში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობა და საკითხი განხილულ იქნა მტს-ის საბჭოს სხდომაზე. მტს-ის ზონის მომსახურების კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა. შარშანდელთან შედარებით წელს უკეთ მიმდინარეობს ბაღ-ვენახების დამუშავება, ბოსტნეულის რგვა და თესვა.

დიდი ამოცანები დგას ზონის ინსტრუქტორების წინაშე. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფებმა იზრუნეს იმისათვის, რომ საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში კიდევ უფრო გაძლიერდეს საagიტაციო მუშაობა, კერძოდ ზეპირი და თვალსაჩინო აგიტაცია. ისინი დაეხმარენ პარტიული ორგანიზაციების მდივნებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გეგმების შედგენაში. მტს-ებთან მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და კედლის გაზეთების რედაქტორთა სემინარები.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიკომს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს. ზოგიერთი საკოლმეურნეო ორგანიზაცია ისევ სუსტად მუშაობს, რაიკომი კი მათ სათანადო პრაქტიკულ დახმარებას ჯერ კიდევ ვერ უწევს.

პარტიის რაიკომმა აქამდე ვერ მიაღწია იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ყველა კ

„კომუნისტისა“ და რაიონული გაზეთების რეიდი

სერიოზული ნაკლოვანებანი ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადებაში

ჩაის კრეფის სეზონს მომზადებული ხვდებიან ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის, ახალსოფლის ტომოშენკოს სახელობის, კირნათის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობები, სალიბაურისა და მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობები. საკმაო რაოდენობით მომზადებულია ჩაის საკრეფი კალათები, გოდრები, ყუთები, სასწორები, წესრიგზე მოყვანილია საჭაპანო ტრანსპორტი და ავტოტრანსპორტი, საპლანტაციო გზები, ხიდები და ბოგირები, თავშესაფარი ფარდულები.

მიუხედავად ამისა, ჩაის საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობისა და ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზადებაში არის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც უახლოეს დღეებში უნდა გამოსწორდეს.

ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც სისტემატურად არღვევდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებს, ხშირად დროულად არ კრეფდნენ ფოთოლს, შარშან 64 ტონა ნედლეული დაკარგა სახელმწიფოს. სამწუხაროდ, წელსაც მეორდება გასული წლის ნაკლოვანებები. შორეულ ჩაის პლანტაციებში გაყვანილი არ არის სამანქანო და საურმე გზები. მესამე ბრიგადის 12 ჰექტარი პლანტაცია მოუვლელია. ნაკვეთში უფრო შემცირებული რაოდენობით შეაქვთ მინერალური სასუქები,

წესრიგზე არ არის მოყვანილი აგრეთვე ავტოტრანსპორტი და საჭაპანო ტრანსპორტი. კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა (პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. შაქარიშვილი) შეხამებული არ არის სამეურნეო საქმიანობასთან. პარტიული ბიუროსა და კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებანი არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არ იგრძნობა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მაორგანიზებელი და კომუნისტების ავანგარდული როლი. მთელ რიგ ბრიგადებში ჩაშლილია სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. მესამე და მეცხრე ბრიგადების აგიტატორებს ლ. ფალავას და ი. სარჯველაძეს ერთ თვეზე მეტია საუბრები არ მოუწყვიათ.

მეჯინისწყლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაშიც დაბალია შრომის დისციპლინა. 18 კოლმეურნე, რომელთა უმეტესობა ახალგაზრდები არიან, უნებართვოდ არის წასული და ბათუმის სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობს. ეს იციან აჭარის საოლქო პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მაგრამ ზომებს არ ღებულობენ.

ჩაის კრეფაში ქალთა შრომის გამოყენებისათვის აუცილებელია საბავშვო ბაგებისა და ბაღების მოწყობა. ამ მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. გეგმით გათვალისწინებული 25 ბაგიდან რაიონში ჯერ არც ერთი ბაგა არ არის მზად. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ჩაისუბნის, ახალშენის, მახინჯაურის, ერგეს კოლმეურნეობათა შესახებ, სადაც განსაკუთრებით საგრძნობია მუშახელის სიმცირე.

ფაბრიკების წინაშე დგას ამოცანა წლევანდელი წელიწადი გახადონ ჩაის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების წელიწადად. ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკაში საფრთხეშია წყალსადენის მშენებლობის დროულად დამთავრება, სუსტად არის დაყენებული მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ბათუმისა და სალიბაურის ფაბრიკებში ჭიანურდება ჩაის მიმღები ახალი ცენტრალური პუნქტების მშენებლობა. გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს ფაბრიკებთან არსებული მუშათა სასადილოები.

ჩაის ფოთლის შეუფერხებლად მიღება-გადამუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის მიმღები პუნქტების მზადყოფნას. მაგრამ რაიონში ამას ნაკლებად ითვალისწინებენ. ჩაის ფოთლის მიღებისათვის მზად არ არიან ყოროლისთვის, სარფის, გონიოს, ზემო ჯოჭოს ჩაის მიმღები პუნქტები. ბათუმის ჩაის ფაბრიკის ახალშენის მიმღები პუნქტი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მისი გამტარუნარიანობა დღეში 3 ტონას არ აღემატება, ეს ძალიან ცოტაა. ფაბრიკის მიერ გამოყოფილი ერთი ავტომანქანა ვერ ასწრებს ნედლეულის დროზე გადატანას. აშკარად არ არის მიზანშეწონილი საქართველოს ჩაის ტრესტის გადაწყვეტილება მალენკოვის სახელობის, ჟდანოვის სახელობის, ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში ჩაის მიმღები პუნქტების გაუქმების შესახებ. ეს გადაწყვეტილება საფრთხეში აყენებს ამ უბნებში ფოთლის შეუფერხებლად მიღება-ტრანსპორტირებას.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მკრეფავები უზრუნველყოფილი არ არიან სპეცტანსაცმლით, რაც ხელს შეუშლის შრომის ნაყოფიერების გადიდებას. წელსაც არაფერი კეთდება ამ მხრივ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების ხაზით.

რამდენიმე დღე, და ჩაის ფოთლის კრეფა მასობრივად გაჩაღდება. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავების ახალ სეზონს.

გაზეთ „კომუნისტისა“ და ბათუმის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის გზის“ ბრიგადა: დ. პაიჭაძე, გ. ჭანუყვაძე, დ. კუჭავა, ა. ხარაბაძე, აგრონომი ნ. ლომაძე.

ჩაის ფოთლის მკრეფავ ქალებს
დღეს სამშობლო ერთს ავალებს:
არ დაზოგონ ახლა ჯაფა,
კრიფონ დროზე, კრიფონ სწრაფად!



ქუთაისი. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში მოწყობილია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ ქალაქის მშრომელები ყოველდღე ათვალიერებენ გამოფენას, საქალაქო კომიტეტის ლექტორები მართავენ საუბრებს. **სურათზე:** პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორის რ. ბექაიას საუბარი გამოფენის დამთვალიერებლებთან.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

ხალხთა მეგობრობის დროშით

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელები ჩვენი თვალწინ დგანან სამშობლოს ყველა მოძმე ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ამ დღეებში შედგა თბილისის მოლოტოვის რაიონის ინტელიგენციის კრება, მიძღვნილი საბჭოთა ხალხების ამ დიდი დღესასწაულისადმი.

— უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, — აღნიშნა თავის მოხსენებაში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ამხ. ნ. ჯავახიშვილმა, — დაგვირგვინდა პერეიასლავის რადის 1654 წლის 8 (18) იანვრის ისტორიული გადაწყვეტილებით რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ. ეს იყო თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის მძლავრი ნების გამოვლინება, საუკუნოვანი მისწრაფების განხორციელება. შემდეგში უკრაინელმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის მეგობრობითა და დახმარებით არაერთ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. დღეს საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად უკრაინელი ხალხი კომუნიზმს აშენებს.

უკრაინის სსრ ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაზე ილაპარაკა მასწავლებელმა ლ. ჩიქვანაიამ. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ნანეიშვილმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა რუსეთთან საქართველოს შეერთებასა და მის ისტორიულ მნიშვნელობას.

მასწავლებელი ნ. იმედაძე თავის სიტყვაში შეეხო უკრაინელი და ქართველი ხალხების დიად მეგობრობას.

— ამ ორი მოძმე ხალხის მეგობრობამ, — განაცხადა ამხ. იმედაძემ, — კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ამას ცხადყოფს უკრაინელი და ქართველი კოლმეურნეების, მეშახტეების, მწერლების და სხვა პროფესიის მუშაკთა მჭიდრო თანამეგობრობა.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მასწავლებლები ვ. კონოვალოვი და ი. ბურჭულაძე.

რაიონის ინტელიგენციის კრებამ ხალხთა დიადი მეგობრობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით ჩაიარა.

ძველი სცენისმოყვარის შემოქმედებითი საღამო

5 მაისს მაუდ-კამვოლის კომბინატის კლუბში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამართა ძველი სცენისმოყვარის, საბურთალოს სახალხო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის მელქისედეკ ლებანიძის შემოქმედებითი საღამო.

ვისაც ძველად საბურთალო უნახავს, კარგად ახსოვს, რომ იგი ქალაქს სრულიად მოწყვეტილი უბანი იყო. ქალაქი თავდებოდა ახლანდელ აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასთან, იმის იქით კი აღმართიანი ორღობე, ბალები და სამიკიტნოები იყო, მუდამ ირღისა და ზურნის გაბმული ხმა ისმოდა. ამ უბანში ცხოვრობდა ცნობილი სცენისმოყვარე მ. ლებანიძეც. იგი ჯერ მთაწმინდის უბანში, პოტ ბ. ახოსპირელთან ერთად მართავდა წარმოდგენებს, შემდეგ სხვა თეატრებში მსახიობ ს. სვიმონიძესთან, ა. წუწუნავასთან, შ. სიფაროვთან და ჩემთან ერთად მონაწილეობდა წარმოდგენებში.

მ. ლებანიძემ საბურთალოს უბანშიც იპოვნა თანამოაზრენი. ლ. ბაქრაძემ, გ. ქარქაძემ, გ. ხეჩუაშვილმა და სხვებმა განიზრახეს სახალხო წარმოდგენები გაემართათ საბურთალოზე, და კიდევაც შეძლეს ამ საქმის მოგვარება: 1915 წლის 15 თებერვალს დადგეს გ. ერისთავის „ძუნწი“. პირველ წარმოდგენას მოჰყვა მეორე, მესამე. სცენისმოყვარეთა სახალხო წარმოდგენებმა საბურთალოს მოსახლეობაში პოპულარობა მოიპოვეს. მართალია, მ. ლებანიძეს და მის ამხანაგებს დიდი წვალება დასჭირდათ ამ კეთილშობილი ამოცანის გადასაწყვეტად, მაგრამ საქმის სიყვარულმა მათ ყოველგვარი დაბრკოლება გადაალახვინა.

მ. ლებანიძე, როგორც ძველი სცენისმოყვარე, კარგად იცნობდა ქართული თეატრის მსახიობებს, სხვადასხვა უბანში გაფანტულ სცენისმოყვარეთ. უფრო მაღალმხატვრული წარმოდგენების გასამართავად თავიანთ პატარა კლუბში მათაც იწვევდა. რეკვიზიტი და ტანსაცმელი ყოფილი სახალხო სახლიდან გამოჰქონდა.

მ. ლებანიძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო საბურთალოს სახალხო თეატრს, არ ზოგავდა ენერგიასა და შრომას, ეხმარებოდა ფულით, ხე-ტყის მასალით და სხვ. ლებანიძე მხერხავი მუშაა, განათლება არ მიუღია, მაგრამ თვითგანვითარებით, სახალხო საქმისადმი წრფელი სიყვარულით შეძლო დაემსახურებინა საზოგადო მოღვაწის სპატიო სახელი, მშრომელთა მადლობა და სიყვარული.

გ. ჯაბაური,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ბიბლიოგრაფია

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიულ თარიღს აღნიშნავს მთელი საბჭოთა ხალხი როგორც დიდ ეროვნულ დღესასწაულს, ხალხთა მარად ურღვევი მეგობრობის დღესასწაულს.

ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ამას წინათ გამოცემული ბროშურები: ა. სურგულაძის — „რუსეთთან უკრაინის შეერთება და მისი ისტორიული მნიშვნელობა“, ი. ხუციშვილის — „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი“. ბროშურებში ლაპარაკია რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ნაჩვენებია რუს და უკრაინელ ხალხთა მეგობრული დამოკიდებულება მთელი საუკუნეების მანძილზე და ის, რომ ასეთმა დამოკიდებულებამ დიდი როლი შეასრულა უკრაინელი და რუსი ხალხის ცხოვრებაში. რუსეთთან გაერთიანებით უკრაინელმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს, მასთან ერთად გადაიტანა ბრძოლები უცხოელი დამპყრობლებისა და შინაური მტრების — მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, დაამხო მონობის უღელი და საბჭოთა კავშირის ერთა ძმურ ოჯახში თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება დაიმკვიდრა.

უკრაინელი ხალხის არა მარტო ეკონომიკისა და კულტურის, არამედ მათი ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა რუსეთის სახელმწიფოსთან მისი გაერთიანება. 1649 წლის იანვარში და მაისში უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლების სახელოვანმა გმირმა ბოგდან ხმელნიცკიმ მოსკოვში გაგზავნა ორი დელეგაცია, რომლებსაც დაევალათ გადაეცათ მეფისათვის რუსეთთან უკრაინის შეერთების წინადადება. 1653 წლის 1 ოქტომბერს მოსკოვში საერთო კრებამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ. 1654 წლის 8 (18) იანვარს პერეიასლავში გაიხსნა რადა, სადაც ხმელნიცკიმ წარმოთქვა სიტყვა. პერეიასლავის რადამ გადაწყვიტა რუსეთის სახელმწიფოსთან გაერთიანება. ეს გადაწყვეტილება იყო უკრაინელი ხალხის ნების გამოვლინება, დიდი მობრუნების ეტაპი უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში.

მეფის რუსეთმა უკრაინაში თავისი ბატონობის დასაყრდენად გაიხადა უკრაინელი თავადაზნაურობა, მიანიჭა მას დიდი უფლებები და პრივილეგიები, ხოლო მშრომელ მასებს სოციალური და კოლონიური მონობის უღელი დაადგა. უკრაინელი მშრომელი ხალხი დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ აწყობდა მძლავრ აჯანყებებს და საოცარი გმირობით იბრძოდა ამ ჩაგვრის წინააღმდეგ.

ავტორები თავიანთ ბროშურებში ხაზს უსვამენ იმას, თუ რუსეთში მომხდარ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში. რუსეთის პროლეტარიატის მაგალითზე, მისი მხარდაჭერითა და დახმარებით უკრაინის მუშებმა და გლეხებმა 1918 წლის იანვარში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროშა აღმართეს და გამარჯვება მოიპოვეს. საბჭოთა ხელისუფლების დაძყარებით და მისი შემდგომი განმტკიცებით უკრაინელი ხალხის ისტორიაში დაიწყო სოციალისტური ერა, უკრაინის აღორძინებისა და გაფურჩქვნის ერა.

უკრაინაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დღის სინათლეზე იქნა გამოტანილი და სათანადოდ დაფასებული უკრაინული კულტურის მოწინავე ტრადიციები, ფართო გზა გაეხსნა შემოქმედებითი ძალების მძლავრ განვითარებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაფასდნენ ღირსეულად უკრაინელი მოღვაწეები ტ. შევჩენკო, ი. ფრანკო, პ. გრაბოვსკი, პ. მირნი, მ. კოციუბინსკი, ლესია უკრაინკა და სხვ., რომლებიც რუსული კულტურის საუკეთესო ტრადიციებზე აღიზარდნენ. უკრაინამ აღზარდა მეცნიერებისა და კულტურის დიდი წარმომადგენლები, რომლებმაც მსოფლიოში გაითქვეს სახელი თავიანთი ნიჭით, შემოქმედებითი მიღწევებით, მაგალითად ბოგომოლეცი, პატონი, ფილატოვი, ლისენკო, კორნეიჩუკი, ტიჩინა, ბაჟანი, რილსკი და სხვ.

ავტორები გვიჩვენებენ საბჭოთა ხალხის ერთიან ოჯახში უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის წამყვან როლს სოციალისტური უკრაინის სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეში და აღნიშნავენ, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ბრძნული პოლიტიკის საფუძველზე უკრაინელმა ხალხმა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უდიდეს აღმავლობაში. რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება და მტკიცდება რუს და უკრაინელ ხალხთა შორის მეგობრობა, მთელ საბჭოთა ხალხს შორის მეგობრობა, რომელიც ჩვენი საშობლოს ძალისა და ძლიერების წყაროა.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ზეიმმა კვლავ ცხადყო საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვანი დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ა. სურგულაძისა და ი. ხუციშვილის ბროშურები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ დაწერილია კარგი ქართული ენით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით. ეს ბროშურები დახმარებას გაუწევს მკითხველს რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის მეგობრობისა და თანაშრომლობის ისტორიის შესწავლაში, ამავე დროს დაეხმარება საბჭოთა უკრაინის სამეურნეო და კულტურული მიღწევების გაცნობაში.

ი. ფეიქრიშვილი.

საბჭოთა ვაჭრობა სოციალისტური საზოგადოების წევრებს შორის მოხმარების საგნების განაწილების ძირითადი ფორმაა

საბჭოთა ვაჭრობა თავისი ბუნებით პრინციპულად განსხვავდება როგორც კაპიტალისტური, ისე კაპიტალიზმამდელი ვაჭრობისაგან, რადგან წარმოების სოციალისტური წესი, რომლითაც განსაზღვრულია საბჭოთა ვაჭრობის არსი, ძირფესვიანად განსხვავდება მანამდე არსებული ვაჭრობის განმსაზღვრელი ყველა სახის წარმოების წესისაგან.

საბჭოთა ვაჭრობა, რომელიც ეყრდნობა სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელ აღმავლობას და მომხმარებელთა მყიდველობითი უნარის განუწყვეტელ ზრდას, თავისუფალია კაპიტალისტური ვაჭრობისათვის დამახასიათებელი გასაღების კრიზისისა და კონკურენციის გამანადგურებელი მოქმედებისაგან. საბჭოთა ვაჭრობა გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

საბჭოთა ვაჭრობა განსაკუთრებული სახის ვაჭრობაა. იგი კაპიტალისტური ვაჭრობისაგან განსხვავდება არა მარტო მიზნით, არამედ ვაჭრობის ობიექტითაც. სოციალიზმის დროს საქონელს და, მაშასადამე, ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო და კოოპერაციული წარმოების პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც ყიდვა-გაყიდვის გზით მიდის მოქალაქეთა პირად მოხმარებაში ან კოლმეურნეობათა საკუთრებაში, ე. ი. იცვლის მესაკუთრეს. საბჭოთა ვაჭრობის საგანს წარმოადგენს აგრეთვე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც ყიდვა-გაყიდვის საშუალებით მიდის სახელმწიფოსა და მოსახლეობის პირადი მოხმარების ფონდში. რაც შეეხება საწარმოო საშუალებებს, ისინი ქვეყნის შიგნით არ წარმოადგენენ ვაჭრობის ობიექტს, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ინარჩუნებენ საქონლის ფორმას.

საბჭოთა ვაჭრობა, რომელიც აკავშირებს წარმოებასა და მოხმარებას, მიზნად ისახავს მომხმარებელთა მრავალფეროვან მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. მისთვის უცხოა კაპიტალისტური ვაჭრობისათვის დამახასიათებელი გასაღების კრიზისებისა და კონკურენციის გამანადგურებელი მოქმედებისაგან. საბჭოთა ვაჭრობა გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

საბჭოთა ვაჭრობა განსაკუთრებული სახის ვაჭრობაა. იგი კაპიტალისტური ვაჭრობისაგან განსხვავდება არა მარტო მიზნით, არამედ ვაჭრობის ობიექტითაც. სოციალიზმის დროს საქონელს და, მაშასადამე, ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო და კოოპერაციული წარმოების პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც ყიდვა-გაყიდვის გზით მიდის მოქალაქეთა პირად მოხმარებაში ან კოლმეურნეობათა საკუთრებაში, ე. ი. იცვლის მესაკუთრეს. საბჭოთა ვაჭრობის საგანს წარმოადგენს აგრეთვე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც ყიდვა-გაყიდვის საშუალებით მიდის სახელმწიფოსა და მოსახლეობის პირადი მოხმარების ფონდში. რაც შეეხება საწარმოო საშუალებებს, ისინი ქვეყნის შიგნით არ წარმოადგენენ ვაჭრობის ობიექტს, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ინარჩუნებენ საქონლის ფორმას.

საბჭოთა ვაჭრობა, რომელიც აკავშირებს წარმოებასა და მოხმარებას, მიზნად ისახავს მომხმარებელთა მრავალფეროვან მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. მისთვის უცხოა კაპიტალისტური ვაჭრობისათვის დამახასიათებელი გასაღების კრიზისებისა და კონკურენციის გამანადგურებელი მოქმედებისაგან. საბჭოთა ვაჭრობა გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

საბჭოთა ვაჭრობა ეფუძნება ორ ძირითადი, სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო, საწარმოო სექტორების არსებობასთან. როდესაც მათ ნაცვლად გაჩნდება ერთი ყოვლისმომცველი საწარმოო სექტორი, რომელსაც უფლება ექნება განაგოს ქვეყნის მთელი სამომხმარებლო პროდუქცია. მაშინ არ იქნება არც სასაქონლო წარმოება და არც ვაჭრობა. მაგრამ ვიდრე ძალაში რჩება სოციალისტური წარმოების ეს ორი ძირითადი სექტორი, ვაჭრობა არათუ არ ისპობა, არამედ მისი ყოველმხრივ გაშლა და განმტკიცება ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანას შეადგენს. საბჭოთა ვაჭრობა, როგორც გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის მნიშვნელოვანი მომენტი, სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს ემსახურება. ვაჭრობის საშუალებით მოხმარების საგნები წარმოებიდან დაიყვანება მომხმარებლამდე.

საზოგადოებრივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია სოციალისტური საზოგადოების ინდივიდუალური მოხმარებისათვის, კომუნისტური საზოგადოების პირველ საფეხურზე ნაწილდება დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. მაგრამ საზოგადოებრივი პროდუქტის ამ ნაწილს მუშა-მოსამსახურეები თავდაპირველად იღებენ ფულის სახით, კოლმეურნეები კი ნატურალური და ფულადი ანაზღაურების სახით. საბჭოთა ვაჭრობის, როგორც მოხმარების საგნების განაწილების ძირითადი ფორმის, ამოცანა ის არის, რომ სოციალისტური საზოგადოების წევრებს საშუალება მიეცეთ აღებული ფულით შეიძინონ ის საქონელი, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მათს მოთხოვნილებასა და გემოვნებას.

ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო კავშირს, რომელიც ავსებს მათ შორის არსებულ საწარმოო კავშირს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სოციალიზმის დროს არსებობს ვაჭრობის სამი ძირითადი ფორმა: სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო. სახელმწიფო ვაჭრობას ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვაში წამყვანი და გადამტონებული ადგილი უკავია. კოოპერაციულ ვაჭრობას ახორციელებს სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაცია. სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში საქონელბრუნვა, ფასები, ქსელი, კადრები და სხვა იგეგმება სახელმწიფოს მიერ.

საკოლმეურნეო ვაჭრობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები იყიდება მიწოდება-მოთხოვნილების საფუძველზე ჩამოყალიბებული ფასებით. მართალია, სახელმწიფო უშუალოდ არ გეგმავს საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვასა და ასორტიმენტს, მაგრამ საკოლმეურნეო ვაჭრობა განიცდის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ეკონომიურ ზეგავლენას. საცალო ფასების სისტემატურ შემცირებას სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შედეგად მოსდევს ფასების შემცირება საკოლმეურნეო ბაზარზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული მთელი რიგი ისტორიული დადგენილებანი მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებისა და საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლის ღონისძიებათა შესახებ ითვალისწინებენ საბჭოთა ვაჭრობის სამივე ფორმის — სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას და განმტკიცებას.

ახლა, როდესაც სსრ კავშირის ეკონომიკა თავისი განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე შევიდა, ვაჭრობის როლი და მნიშვნელობა კი არ მცირდება, არამედ იზრდება. ამიტომ, საბჭოთა ვაჭრობის როლის ყოველგვარი შეუფასებლობა თეორიულად მცდარი და პრაქტიკულად საზიანო მოქმედება იქნება.

* * *

საბჭოთა ვაჭრობის განვითარების საფუძველს უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიერ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სისტემატური გადიდება. სსრ კავშირში საქონელბრუნვა 1926 წლიდან 1953 წლამდე 8-ჯერ გაიზარდა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ამავე პერიოდში საქონელბრუნვამ დაიწია 1929 წლის დონეზე დაბლა.

საბჭოთა ვაჭრობის გაშლასა და გაფართოებას ხელს უწყობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობა და მათი მყიდველობითი უნარის სისტემატური ზრდა, რაც გამოიხატება მშრომელთა შემოსავლის ზრდითა და ფასების სისტემატური შემცირებით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის, მშრომელთა მასების მყიდველობითი უნარის გადიდებისათვის, ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს. ომისშემდგომ პერიოდში შვიდჯერ მოხდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ფასების შემცირება. მარტო 1953 წელს მასობრივი მოხმარების საგნების ფასების შემცირებამ მშრომელთა მყიდველობითი უნარი 1952 წელთან შედარებით 22 მილიარდი მანეთით გაზარდა. მასების მყიდველობითი უნარის ზრდა მკაფიოდ მოჩანს საქონელბრუნვის გადიდებაში. 1953 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით მოსახლეობას მიეყიდა 21 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1952 წელს. ფასების ახალი, სათვალავთ მეშვიდე შემცირებამ, რაც 1954 წლის 1 აპრილიდან განხორციელდა, კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი და მატერიალური კეთილდღეობა.

სახალხო მოხმარების საგნების ფასების სისტემატურ შემცირებას ახორციელებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიც. სახალხო მოხმარების საგნების ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკა ცხადყოფს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების მშვიდობიან ხასიათს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელ აღმავლობას, ამ ქვეყნების პარტიებისა და მთავრობების ყოველდღიურ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის.

სულ საწინააღმდეგო სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ მოხმარების საგნების საცალო ფასები სისტემატურად იზრდება. 1947 წლის შემდეგ პურის, ხორცისა და ზეთის ფასები საფრანგეთში გადიდდა ერთიორად, ინგლისში — პურისა ერთიორად, ხორცისა — 1,5-ჯერ, ზეთისა — 2,5-ჯერ და სხვ. მნიშვნელოვნად გადიდდა მოხმარების საგნების ფასები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კაპიტალიზმის ქვეყნებში მოხმარების საგნების ფასების ზრდა და მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკების გაძლიერება გამოწვეულია თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედებით. მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით კაპიტალისტები მშრომელებს გაძლიერებულ ექსპლოატაციას უწევენ არა მარტო წარმოების სფეროში, არამედ მიმოქცევის სფეროშიც. მოხმარების საგნების მონოპოლიური ფასების არსებობა მშრომელთა გაძლიერებული ექსპლოატაციის ერთ-ერთი საშუალებაა.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედების შედეგად ადგილი აქვს არა მარტო საქონელბრუნვის ზრდას, არამედ სასურსათო და სამრეწველო საქონელბრუნვის სტრუქტურის არსებით გაუმჯობესებასაც. მოსახლეობა მოთხოვნილებას აყენებს სულ უფრო და უფრო მაღალხარისხოვან საქონელზე, სოციალისტური საზოგადოების წევრთა მოხმარების ფონდში ისეთი საქონელია უტანილი, რომელიც კაპიტალიზმის პირობებში მშრომელთა მოხმარების ფონდში არასოდეს არ შედის. ავტომანქანებს, პიანინოებს, რადიომიმღებებსა და სხვა ძვირფას და ხანგრძლივად სახმარ საგნებს დიდი რაოდენობით იძენს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. საქონელბრუნვაში თანდათანობით იზრდება სამრეწველო საქონლის ხვედრითი წონა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს არა მარტო საქონელბრუნვის მკვეთრ აღმავლობას, არამედ მისი სტრუქტურის გაუმჯობესებასაც. ამ დადგენილებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1954 წელს 1950 წელთან შედარებით 72 პროცენტით უნდა გადიდდეს, ე. ი. ხუთწლიანი გეგმის დავალება 1954 წელს გადაჭარბებით იქნება შესრულებული. საცალო საქონელბრუნვა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით დაახლოებით ერთიორად გადიდდება. დადგენილება ითვალისწინებს სასურსათო და სამრეწველო საქონლის ძირითადი ფონდების სწრაფი ტემპით გადიდებას. 1956 წელს 1950 წელთან შედარებით საქონლის საბაზრო ფონდები გადიდდება: ხორცის პროდუქტებისა — 2,6-ჯერ, თევზის პროდუქტებისა — 2,3-ჯერ, ერბო-კარაქისა — 2,1-ჯერ, მცენარეული ზეთისა — 2,8-ჯერ, შაქრისა — 2,4-ჯერ, ქსოვილებისა — 2-ჯერ, ფეხსაცმელისა — 2-ჯერ, საკერავი მანქანებისა — 5,9-ჯერ, ველოსიპედებისა — 6-ჯერ, რადიომიმღებებისა და ტელევიზორებისა — 5,3-ჯერ, ავეჯისა — 4,8-ჯერ.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 4 მაისი. (საკადესი სპეც. კორ.). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მონაწილენი თავიანთ მეშვიდე სხდომაზე განაგრძობდნენ კორეის საკითხის განხილვას. თავმჯდომარეობდა ვან ვაიტხაიკონი (ტაილანდი).

კორეის საკითხზე დისკუსიის ცენტრშია წინადადებანი კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და ამ მიზნით სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების მოწყობის ღონისძიებათა შესახებ. ეს წინადადებანი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ შეიტანა 27 აპრილს თათბირის განსახილველად.

ამ წინადადებებს, რომლებიც ემყარება იმ სამართლიან პრინციპს, რომ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება თვით კორეელ ხალხს უნდა მიენდოს, მხარი დაუჭირეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობენ კორეის საკითხის იმგვარად გადაჭრისათვის, რომ ეს შეესაბამებოდეს კორეელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებას და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ნამ ირისა და ჯოუ ენ-ლაის გამოსვლები 3 მაისის სხდომაზე, მათი პასუხი განხილვის მსვლელობაში დასმულ კითხვებზე, კერძოდ კითხვაზე სრულიად კორეის შერეულ კომისიაში კორეის ორივე ნაწილის წარმომადგენელთა რიცხვის შესახებ, რომელიც თათბირის ზოგიერთ მონაწილეს უნდოდა გადაექცია რთულ პრობლემად, და, ბოლოს, ჯოუ ენ-ლაის წინადადებანი სამხედრო ტყვეთა შესახებ ახალი დადებითი წვლილია დისკუსიაში კორეის საკითხზე.

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირსონმა, რომელიც დღევანდელ სხდომაზე გამოვიდა, თავისი სიტყვის დასაწყისშივე ცხადყო, რომ კანადის დელეგაციას არ სურს ხელი შეუწყოს კორეის პრობლემის მოწესრიგებას. მან განაცხადა, რომ კანადის დელეგაციას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს რაიმე წინადადებას, რომელიც უარყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას კორეის საკითხზე. კანადის წარმომადგენელმა არ მოისურვა ანგარიში გაეწია იმ უდავო ფაქტისათვის, რომ ეს რეზოლუციები, რომელთა მიღებაში არ მონაწილეობდნენ კორეელი ხალხის წარმომადგენელნი, უკანონო გადაწყვეტილებებია, რომელებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავს მოახვია ამერიკულმა უმრავლესობამ, და ისინი ვერ შეუწყობენ ხელს კორეის საკითხის მოწესრიგებას. პირსონმა იკისრა განუხორციელებელი ამოცანა — გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია განსახილველ საკითხში. რაკი არავითარი საბუთი არ მოეპოვებოდა ამ უგვანი ამოცანის განხორციელებისათვის, იგი გულმოდგინედ ცდილობდა ფოს გასულიყო იმით, რომ იმეორებდა მოჩმახულ ჭორებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ.

შეეხო რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის ჯოუ ენ-ლაის წინადადებებს, რომელთა მიზანია ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის ხელისუფალთა მიერ 48 ათასზე მეტი კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვის ძალით დაკავების საკითხი გადაჭრა, პირსონი შეეცადა ამ საკითხისათვის გვერდი აევლო ლიტონი განცხადებით, რომ იგი თითქოს უკვე გადაჭრილია და რომ ამიტომ „არ არის საჭირო მისი განხილვა“ ჟენევის თათბირზე.

მხოლოდ თავისი სიტყვის დასასრულს პირსონი შეეხო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებებს, რომლებსაც მხარი დაუჭირეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა. იგი ამტკიცებდა, რომ ეს წინადადებები „საკმაოდ არ განუმარტავს“ მათ ავტორს. დამახინჯებულად განმარტავდა რა მათ, პირსონი ამტკიცებდა, თითქოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებებით გათვალისწინებული სრულიად კორეის კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს სრულიად კორეის არჩევნები, იმოქმედებდა მხოლოდ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა სურვილების შესაბამისად, თუმცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა თავის გუშინდელ სიტყვაში განმარტა, რომ ამ კომისიის გადაწყვეტილებანი მიღებულ უნდა იქნას მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

პირსონმა აგრეთვე განაცხადა, რომ მისთვის „გაურკვეველია“, რას გულისხმობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებათა პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის უდიდესი დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეყვანას სრულიად კორეის კომისიაში. ყველა ეს ხელოვნურად შექმნილი „ეჭვი“ პირსონმა აშკარად იმისათვის გამოიყენა, რომ დაესაბუთებინა სრულიად უსაფუძვლო მტკიცება, თითქოს თავისუფალ არჩევნებს კორეაში ვერ მოაწყობენ თვით კორეელები, არამედ ეს არჩევნები შეიძლება მოეწყოს მხოლოდ უცხო სახელმწიფოთა კონტროლით. პირსონს არ გამოუთქვამს თავისი აზრი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებაზე კორეის ტერიტორიიდან ექვსი თვის ვადაში უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ, რაც საშუალებას მისცემდა კორეელ ხალხს თავისუფლად გამოეხატა თავისი ნება სრულიად კორეის არჩევნებში ისე, რომ არ ყოფილიყო უცხოეთის ჩარევა და ზეგავლენა.

შემდეგ სიტყვა მიეცა ჰოლანდიის წარმომადგენელს ლუნსს. მის გამოსვლას, ისევე როგორც პირსონის გამოსვლას, არაფერი ახალი და დადებითი არ შეუტანია დისკუსიაში. ლუნსმა, განაცხადა რა სიტყვის დასაწყისში, რომ კორეის გაერთიანება შეუძლებელია მიღწეულ იქნას, თუ თვით კორეის ხალხმა თავისუფლად არ გამოხატა თავისი ნება, შემდეგ გაიღაშქრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანია შესაძლო გახდეს ნების ასეთი თავისუფალი გამოხატვა.

ჰოლანდიის წარმომადგენელს არ მოუყვანია რაიმე საბუთი იმის გასამართლებლად, რომ იგი უარყოფს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონკრეტულ წინადადებებს კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და ამ მიზნით სრულიად კორეის არჩევნების მოწყობის ღონისძიებათა შესახებ. ამის ნაცვლად მან გაიმეორა დამახინჯებული, ნამდვილი ფაქტების სრულიად საწინააღმდეგო ვერსია კორეის ამბების განვითარებისა იაპონელთა ბატონობისაგან მისი განთავისუფლების შემდეგ, ვერსია, რომელიც გამოიყენეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის დელეგაციებმა.

ლუნსი შეეცადა დაემტკიცებინა, თითქოს სამხრეთ კორეაში უკვე მოეწყო თავისუფალი არჩევნები, თუმცა ფაქტები, რომლებიც ითვალისწინებენ სამხედრო ტყვეებისადმი ჰუმანურ მოპყრობას, სასტიკად ეპყრობოდნენ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს და სჩადიოდნენ ძალადობის აქტებს მათ მიმართ, იცავდნენ ყენევის კონვენციის საწინააღმდეგო მცდარ შეხედულებებს სამხედრო ტყვეთა განთავისუფლებისა და რეპატრიაციის საკითხში და ამით აჭიანურებდნენ დაზავების განხორციელებას კორეაში. რათა დაეჩქარებინა კორეაში დაზავების განხორციელება, კორეა-ჩინეთის მხარემ ყოველი დღნე-იხმარა და საბოლოო ანგარიშით მიაღწია შეთანხმებას მოწინააღმდეგე მხარესთან სამხედრო ტყვეთა საკითხში. ორივე მხარე დათანხმდა, რომ თვითეულ სამხედრო ტყვეს მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლოს რეპატრიაციის უფლებით. მაგრამ სამხედრო ტყვეთა შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ 10 დღე არც კი იყო გასული, რომ კორეის რესპუბლიკის ხელისუფლებმა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ჩაშალეს ეს შეთანხმება. ლუნსი იცავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ ორგანოს ბოროტ საქმეებს, ამტკიცებდა, რომ ეს ორგანო ნამდვილად ეხმარებოდა ინდოელ ტერორისტებს ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე ტიბეტში ჩასვლაში, ეხმარებოდა ინდოეთ-ბურმის საზღვარზე ბურმაში ჩასვლაში, ეხმარებოდა ინდონეზიელ ტერორისტებს ინდონეზიაში ჩასვლაში, ეხმარებოდა ინდოეთ-ინდონეზიის საზღვარზე ინდონეზიაში ჩასვლაში, ეხმარებოდა ინდოეთ-ინდოჩინეთის საზღვარზე ინდოჩინეთში ჩასვლაში, ეხმარებოდა ინდოეთ-ინდოჩინეთ-ინდონეზიის საზღვარზე ინდონეზიაში ჩასვლაში, ეხმარებოდა ინდოეთ-ინდოჩინეთ-ინდონეზი